№ 272
შაბათი, 19 დეკემბერი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 272
შაბათი, 19 დეკემბერი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამა მიმდინარე წლის 21 დეკემბერს, ქუთაისში, ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში, გარდაცვალებულის დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის თავადის

**ნიკოლოზ სიმონის ძის აბაშიძის**

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე კნ. პუპი ალექსანდრეს ასული აბაშიძისა. (1—190—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 20 დეკემბერს,
ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება **ქ-ნის ნ. გაბუნია ცაგარლის** მონაწილეობით

**I**

## ქორ-ოღლი

დრამა 4 მოქ. ნ. ანტონოვისა.

**II**

მეხუთე მოქმედება შექსპირისგან

## ორი ობოლი

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—8)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ა. ა. **ხაჩატურიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ვ. მ **ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

გ. ი. **ბაბანასიანცი**. —დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. **პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. **კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. **გურკო**. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

გ. მ. **მახვილაძე**.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. **შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. **ნავასარდიანი**—6½—7 საათ.

ტ. ი. **რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

ორშაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს, ტფილისის „**სობრანიეში**“ გაიმართება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ სალიტერატურო და სამუსიკო

## საღამო,

რომლის შემდეგ იქნება ცეკვა.

ბილეთები გაიყიდება კნ. ო. თ. ჭავჭავაძისას, საზოგადოების კანცელარიაში და „სობრანიის“ შვეიცართან. (5—უ.—4)

დამდეგ 1899 წლისთვის **დაწყებულია ხელის-მოწერა**

## აკაკის კრებულზედ.

ფასი წლიურად გაუგზავნელად 6 მანეთი და გაგზავნით 7 მ. ნახევარი წლით 4 მან. და ცალკე ნომერი 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება: ყვირილაში კრებულის რედაქციაში და ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში. (5—უ.—3)

## ახალი ამბავი

*** 16 დეკემბერს, კრებაზედ, ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს: ორას-ორასი მანეთი ნიკოლოზის საკვირაო სკოლასა და ვერის საქალაქო სასწავლებელს, 75 მანეთი—ქალაქის დედათა საპროფესიონალო სახელოსნოს ავეჯის შესაძენად და 200 ხარკოვის სატეხნოლოგო ინსტიტუტის ერთს სტუდენტს.

*** საგუბერნიო ბეითალსა ნ. ი. კრიდნერს და ბეითალს ვიენიკოვს მთავრობამ მიანდო შემუშავება პროექტისა ამიერ-კავკასიაში საქონლის ჭირისაგან ამცრელ სადგურის დაარსების შესახებ.

*** ტფილისში ჩამოვიდა აბასთუმნის სამხედრო საავადმყოფოს მთავარი მკურნალი ბ-ნი გოპაძე.

*** 21 დეკემბერს მოხდება პირუტყვთა მფარველ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. კრებამ უნდა აარჩიოს ამ საზოგადოების თანამდებობის კაცნი მომავალის სამის წლისათვის.

*** 20 დეკემბერს აკურთხებენ მდ. ყვირილაზედ გაკეთებულ აჯამეთისა და სვირის ახალ ხიდებს. ამ დღიდგანვე გაიხსნება მატარებლების მიმოსვლა. ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ კურთხევაზედ დასასწრებლად მიიწვია ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია, ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ-ნი ლოლუა და სხვანი.

*** რადგანაც ამ ჟამად გადამდებ სენით ავადმყოფთა თავშესაფარეპში თავისუფალი ადგილი აღარ არის, ტფილისის ქალაქის გამგეობამ, ვიდრე ახალი, დროებითი საავადმყოფო იქმნება დაარსებული გადამდებ-სენით ავადმყოფთათვის, გადასწყვიტა გააფართოვოს აწ არსებული თავშესაფარები. გამგეობას აზრადა აქვს ათის ავადმყოფის დასაწვენი ადგილი კიდევ მოუმატოს.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო-საზოგადოებამ გარდასწყვიტა დააარსოს ამიერ-კავკასიის სხვადა-სხვა ადგილას სამეურნეო იარაღთა საწყობის განყოფილებანი. ამ ჟამად საზოგადოების საბჭოს მოლაპარაკება აქვს ამის შესახებ სხვა-და-სხვა გუბერნიის ადმინისტრაციასთან.

*** პეტერბურგიდგან სწერენ „ტფ. ფ.“-ს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს მიიწვიოს ერობისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელნი საქონლის სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენელნიც.

*** თელავიდგან სწერენ „კავ.“-ს,

## ფელეტონი

### 30 ბოჩკა ხორცის ამბავი.

(მარკ ტვენისა)

განსვენებულმა ჯონ ვილსონ მეკენზიმ, მცხოვრებმა როტერდამისამ, რომელიც ეკუთვნის ივსმუნდის საგრაფოს, ნიუჯერსეიში, ასე ოქტომბრის ვგონებ 10-სა დღესა, 1861 წელსა შეჰკრა პირობა მთავრობასთან და პირობითა ამითა ვალდებულ ჰყო თავი თვისი უსათუოდ მიეტანა გენერალ სერმენისათვის 30 დიდი ბოჩკა, სავსე ძროხის დამარილებულის ხორცითა.

კარგი და პატიოსანი.

ხორცი იგი წაუღო მან გენერალს სერმენს, მაგრამ ვიდრე ვაშინგტონს მიახწევდა, გენერალი სერმენი მანასეს წაბრძანდა.

ბ-მა ვილსონმა თავისს მოვალეობად მიიჩნია წაეღო ხორცი იქ, სადაც გენერალი სერმენი ბრძანდებოდა. რაღა თქმა უნდა, რომ გენერალი სერმენი ამ ხორცის გულისთვის ერთს ადგილს არ გაჩერდებოდა და ამიტომ ბ-ნი ვილსონი სდევნიდა გენერალს სერმენს. ჯერ ჰფიქრობდა, ნევსვილში დავეწევიო, მერე—გატაკუტუს, მერე ატლანტიის ნაპირებზედ, მაგრამ ვერსად-კი ვერ დაეწია.

ატლანტიიდგან ბ-ნი ვილსონი შეუპოვრად სდევნიდა გენერალს სერმენს ზღვის კიდემდე. ბედმა უმუხთლა ბ-ნს ვილსონს და აქ რომ მოვიდა, ასე მოახსენეს, გენერალი სერმენი იერუსალიმს გიახლათო. ბ-ნი ვილსონი იერუსალიმს წაბრძანდა და აქ შეიტყო, რომ გენერალს სერმენს ფიქრადაც არ მოსვლია აქ მოსვლა, ამ ჟამად ამერიკაში არის და ინდიელებს ებრძვის, ესე იგი აჰკვიანებს ამ ველურ ხალხსაო. მაშინ ბ-ნი ვილსონი ისევ ამერიკაში დაბრუნდა, როგორც იყო მიაგნო გენერალ სერმენის კვალს, ამ კვალს დაადგა და ის იყო სერმენის ჯარისათვის უნდა მიერთმია ხორცი, რომ ინდიელნი თავს დაეცნენ, მოჰკლეს პატივცემული ბ-ნი ვილსონი და ხორციკი შესჭამეს. განგებითა უფლისათა ისე მოხდა, რომ სერმენის ჯარმა ერთი ბოჩკა ხორცი წაართვა ინდიელებს და ამ გვარად ბ-ნმა ვილსონმა, თუმცა სრულიად-კი არა, მაგრამ მაინც შეასრულა თვისი პირობა მთავრობის წინაშე. შეასრულა და კიდეც მოკლულ იქმნა. ინდიელებმა მოჰკლეს და თავის კანიც გადააძრეს. პირობა თვისი, მთავრობასთან შეკრული, ბ-მა ვილსონმა უანდერძა თავისს შვილს ბართლომე ვილსონს. ბართლომე ვილსონმა დასწერა რა ქვემო მოხსენებული ანგარიში, გარდაიცვალა.

ანგარიში

შეერთებული შტატებისაგან ერგებოდა განსვენებულს ჯონ ვილსონს მეკენზის, ნიუ-ჯერსეის მცხოვრებს,

30 ბოჩკა ხორცისა, რომელიც უნდა მიეტანა გენერ სერმენისათვის,
თითო ბოჩკა 100 დოლლარი,
სულ . . . . 3000 დოლარი.
მიტანა ხორცისა
და გზის ხარჯი . 14,000 დოლარი.
სულ . . . . 17.000 დოლარი.

როდესაც მივიღებ ამ ფულს, ხელსაც მოვაწერ.

დასწერა ანგარიში ესე ბ-მა ვილსონმა, და როგორც უკვე მოგახსენეთ, ინება გამგზავრება ამა სოფლითგან იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ზემოხსენებული პირობა ანდერძის ძალით ერგო ვილიამ მარტენს, რომელმაც მოისურვა ამ ფულის მიღება, მაგრამ ვერ მიიღო, ფულის მიღებას მუხთალმა სიკვდილმა უსწრო და კიდევ კარგი, რომ ბ მა ვილიამ მარტენმა ეს ფული უანდერძა ბარკერ ალენს. ამასაც-კი უნდოდა ზემოხსენებულ ანგარიშით ფულის მიღება, მაგრამ ეს საქმე არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა, და მეტი გზა არ იყო, სიკვდილის ჟამს ეს ანგარიში უანდერძა ბ-ნ ანსონ როჯეროს, რომელიც ძლიერ სცდილობდა ზემოხსენებულ ფულის მიღებასა, ასე გასინჯეთ, მეცხრე აუდიტორამდე მიაღწია თავისის თხოვნით, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა, ამ საუკეთესო მომრიგებელმა მოსამართლემ, მოუღო ბოლო როჯერსის მხნე მეცადინეობას. ბ-მა როჯერსმა ეს ფული უანდერძა თავისს ნათესავს ბენჟეას გონკინსს, რომელმაც ამ ფულის მიღებას შესწირა მთელი 4 კვირა და ორი დღე და ამ მცირე ხნის განმავლობაში მიახწია კიდეც მეთორმეტე აუდიტორამდე. მაგრამ, ვინაიდგან ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ, იგიც მოკვდა და ანდერძი თვისი დაუგდო თავისს ბიძას იმხიარულე ჯონსონს. ხოლო ანდერძმა ამან ვერ ამხიარულა ვერც იმხიარულე ჯონსონი, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, მალე გარდაიცვალა. იმისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ნუ იტირებთ ჩემის გულისთვის. მე სიამოვნებით ვშორდები ამა წუთის სოფელს“. მართლაც, რომ სიამოვნებით დაგვშორდა. ამას შემდეგ ზემოხსენებულმა პირობამ შვიდი პატრონი გამოიცვალა და ბოლოს მე ჩამივარდა ხელში. ეს პირობა გადმომცა მე კანონიერის მოწმობითურთ ჩემმა ნათესავმა ბენიამენ გუბარდტმა. ბ-ნს ბენიამენს მე ძლიერ ვეჯავრებოდი, მაგრამ სიკვდილის ჟამს გული აუჩუყდა, მიმიხმო, მაპატივა ყოველნი შეცოდებანი ჩემნი და შესანიშნავი ანგარიში იგი მიანდერძა და გადმომცა.

ამით თავდება მოთხრობა იმ ანგარიშისა დასაბამითგან და ვიდრე ჩემს ხელში ჩავარდებოდა. მე იმ წამსვე ეს ანგარიში ავიღე ხელში და წარვსდექი წინაშე შეერთებულ შტატე-

რომ 13 დეკემბერს თელავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში, ამ სასწავლებლის პროგიმნაზიად გადაკეთების გამო, პარაკლისი იქმნა გარდახდილიო. პარაკლისს მოსწავლეთა და მასწავლებელთა გარდა მრავალი ხალხი დაესწრო თურმე. თელავიდგანვე ატყობინებენ „ტფ. ფურც“-ს, რომ 11 დეკემბერს თელავის მაზრაში დიდი თოვლი მოვიდაო. თოვლი 15 დეკემბრამდე განუწყვეტლივ მოდიოდა თურმე.

*** ქუთაისი. 14 დეკემბერს ქუთაისის ქალაქის საბჭომ, კრებაზედ, დაადგინა დაიქირაოს ქალაქის უსასყიდლო სამკურნალოსთვის ერთი სამუდამო ექიმი და დაუნიშნოს მას ჯამაგირი წელიწადში 900 მანეთი.

*** თელავი. 24 ნოემბერს იყო უკანასკნელი კრება კახელ მევენახეთა საზოგადოებისა. კრებამ განიხილა საზოგადოების ამხანაგთა ღვინის დაფასების წეს-რიგი, გამგეობის მიერ წარმოდგენილი, და დაადგინა: 1) ღვინო სხვა და სხვა დროს დაფასდეს სხვა და სხვა ადგილისა; 2) კახეთი გაიყოს ნაწილებად იმის მიხედვით, სად როდის შემოდის ღვინო, 3) დაფასდეს გადაღებული ღვინო და არას გზით გადუღებელი არ დააფასონ და 4) დაფასებულ ღვინოს გამგეობის ბეჭედი დაესვას.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა დიდად საყურადღებო საგანი, სახელდობრ ამხანაგობის მიერ დაარსება თანხისა, სეტყვისაგან ვენახების ზარალის საურთიერთო დაზღვევით ასადგენად. ამ საგნის შესახებ მოხსენება წარმოდგენილი იყო ბ-ნ ქ. ა. ვერმიშევის მიერ. კრებამ ეს მოხსენება გამგეობას გადასცა და დაავალა ზედამხედველ კომიტეტთან ერთად მისი განხილვა და ამ საგნის შესახებ პროექტის წარმოდგენა ამხანაგობისათვის. დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობის წევრნი. ისევ ძველი წევრები იქმნენ არჩეულნი. *)

*** როგორც სამკურნალო ნაწილის გამგეობის ანგარიშიდგან სჩანს 1-დგან 8 დეკემბრამდე ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით—29 კაცი (მათ შორის 4 მომკვდარა), ქუნთრუშით—5, ყელ-ჭირვებით—3 და სახადით—2; ხოლო 14-დგან 17 დეკემბრამდე 16 კაცი გამხდარა ავად ყვავილით.

*** 17 დეკემბერს მოხდა საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქს გარედ არსენალის მახლობლად მდებარე ქალაქის აგარაკისა. ეს აგარაკი ხელახლა კუკიის საქონლის მომშენებელთა ამხანაგობას დარჩა. ამხანაგობამ ქალაქს წელიწადში 1400 მანეთი უნდა აძლიოს.

*** იმპერატრიცა მარიამის სახელობაზედ არსებულმა დაწესებულებათა გამგეობამ დააარსა განყოფილებანი საქველ მოქმედო წრიდების გასასწავლად, სხვათა შორის, ტფილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა და ბაქოში.

*** ამ ბოლოს დროს ქალაქში ძალიან გავრცელდა ესრედ წოდებული ფილტვის ავადმყოფობა ინფლუენცია. ბევრი სასწავლებელშიაც გახდა ავად.

*** 17 დეკემბერს, ღამე, მთა-წმინდის მოედანზედ, მართა კაპანაკოვის სახლს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი პირველად ზემო სართულს გაუჩნდა, სადაც სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ნათაძე სცხოვრობდა, ქვემო სართულში იმავე სკოლის მასწავლებელი გ. აგლაძე, ხოლო ძირითა სართულში თვით სახლის პატრონი. პირველად ცეცხლი ღამის 2 საათზედ, შეამჩნიეს მეზობლებმა. ცეცხლი ხის ფარდულს გაუჩნდა, საიდგანაც მეორე და მესამე სართულის მოაჯირსა და კიბეზედ გადავიდა. ცეცხლის გავრცელებას ხელს უწყობდა ქარიც. თვით ნათაძესა და აგლაძეს ოჯახობას ცეცხლის წაკიდებისა არაფერი გაუგიათ: იმათ ამ დროს ღრმად ეძინათ. მეზობლებმა პოლიციას აცნობეს და მალე ცეცხლის ჩამქრობი რაზმი მოვიდა. დიდს გაჭირვებაში, განსაკუთრებით, ზემო სართულში მცხოვრები ბ-ნი ნათაძე და იმის ოჯახობა ჩავარდა. კიბეს ცეცხლი ეკიდა, ამიტომ ზემოდგან ჩამოსვლა შეუძლებელი იყო; შემდეგ ცეცხლი შიგ ოთახებშიაც შევიდა. როგორც იყო ნათაძე თავისის ცოლ-შვილით ბალკონზედ გამოვიდა. ცეცხლის ჩამქრობი რაზმი ჯერ იმათ გადარჩენას შეუდგა: ქუჩიდგან ბალკონს კიბე მიადგა და ნათაძე, იმისი ცოლი და შვილები ჩამოიყვანა. შემდეგ ცეცხლის ჩაქრობას შეუდგნენ. მალე ტფილისის პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი და იმის თანაშემწე გ. ს. კოვალევი მოვიდნენ. ცეცხლი როგორც იქმნა დილის ხუთს საათზედ ჩააქრეს. ზარალი ჯერ არ იციან რამდენია, ეს-კია, რომ ზარალი მხოლოდ მასწავლებელთ ნათაძესა და აგლაძეს მოუვიდათ, სახლის პატრონს-კი არაფერი, რადგანაც სახლი დაზღვეული იყო. გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

*** ქალაქის მე-8 ნაწილში მცხოვრებმა ფარმაცევტმა იაგორ ჯანაგოვმა 17 დეკემბერს გამოუცხადა პოლიციას, რომ ჩემი შეგირდი, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები დიმიტრი ტუღუში, 13 წლისა, 8 დეკემბერს სადღაც წავიდა და მას შემდეგ აღარ მოსულაო.

*) ამ კრების შესახებ ჩვენის კორესპონდენტისაგან ვრცელი წერილი მოგვივიდა, მაგრამ დაგვიანების გამო ვერავბეჭდავთ.

რედ.

## წერილი თელავიდგან

თელავის გაკურდღელაურება და კურდღელაურის გათელავება.—ბ-ნი თათუზოვი და მოქალაქეთა გასოფლელება.

(დასასრული *)

იმ დროს, როცა თელავს ხაზს ავლებდნენ, თვით მართველობის წესრიგიც იწყებოდა. ყველანი იმაზრისანი იყვნენ, რომ თვით მართველობა თელავისა პირველ და უმთავრეს საქმედ გაიხდიდა თვის მოძმეთა შემოერთებას, მით უმეტესად, რომ ხაზ გარეთ ისეთებიც დარჩნენ, რომელთაც თელავისათვის 30 წლობით დეპუტატად უმსახურიათ. მაგრამ კენჭობანამ სხვა მადა გაუღვიძა არჩეულთ. მოლოდინი გაცრუვდა. თვით მართველობამ თითიც არ გაანძრია ამ საქმისათვის, პირ-იქით, სადაც შეიძლებოდა, ხელს უშლიდა საქმის მსვლელობა-დოლიალსა. უნუგეშოდ დარჩენილთ მიართვეს ბ-ნ გუბერნატორს თხოვნა. გუბერნატორმა ნახა ეს უცნაური გაყოფა თელავისა და კურდღელაურისა, სადაც ერთი და იგივე სახლის რამდენიმე ოთახი თელავშია და რამდენიმე კურდღელაურში.

რასაკვირველია, ბ-ნმა გუბერნატორმა მოისურვა აცილებინა თელავისათვის ეს უცნაური გაყოფა. მოსწერა მაზრის უფროსს, რომ მას, თელავის მამასახლისის თანახმად, ახალი ხაზი შემოევლოთ თელავისათვის ისე, რომ ამ ხაზში მოჰყოლოდა ხაზ გარედ დარჩენილი ადგილები. მაზრის უფროსი შეეკითხა თელავის მამასახლისს. ბ-ნმა თათუზოვმა შორს დაიჭირა: თუ ახლად შემოსაერთებელი მოქალაქეები იკისრებენ ერთის ბოქაულის თანაშემწის და შვიდის გზირის ჯამაგირის ძლევას, გზების მოკირწყვლას, ქუჩების განათებას და ჩვეულებრივ ხარჯსაც გადიხდიან, ამ ხარჯის გარდა, მაშინ დავთანხმდები, რომ თელავში შეირიცხონ, თუ არა-და, არაო.

ბ-ნმა თათუზოვმა კარგად იცის, რომ როცა თელავს განაგებდა მაზრის გამგეობა, მაშინ ორჯელ ნაკლები გზირებიცა ჰყავდა და ეს ადგილიც, რომლის შემოერთების შესახებაც არის ლაპარაკი, თელავად ითვლებოდა და განაგებდა პოლიცია ორჯელ ნაკლების გზირებით. ბ-მა თათუზოვმა კარგად უწყის, რომ რაც იგი აღვიდა ტახტრევანსა ზედა თელავისასა, არც ერთი ადლი ქუჩისა არ მოკირწყლულა, თუ არ გვიანგარიშებს იგი იმას, რომ ერთს ნაკეთებს ქუჩას ქვიშა დააყარა, რომ დაემალა, ანუ, უკეთა ვთქვათ, დაემარხა მისი უწმიდურება, რასაც ადვილად დაინახავდა მთავრობა. ბ-ნმა თათუზოვმა კარგად იცის, რომ პოლიციის მართველობის დროს გაკეთებული ფარნები მრავლად მოაკლდა მისს ყოვლად მფარველობის ქვეშ. ბ-ნმა თათუზოვმა კარგად იცის, რომ ყველა ამას კარგად უძღვებოდა პოლიცია და კიდეც ყოველ წლობით ფულს ანარჩუნებდა, ასე რომ 3,000 მანეთი ნაღდად გარდაეცა მასს. ბ-ნი თათუზოვი იმასაც დაჯერებული იქმნება, რომ აწინდელი შემოსავალი თელავისა მეტია, ვიდრე იგი იყო პოლიციის დროს. თუ ამას შემოსაერთებელ ნაწილის შემოსავალსაც მიუმატებთ, უფრო მეტი იქმნება,

როგორ მოხდა, რომ ყველა ზემორე მოხსენებულის მცოდნემ ბ-ნმა თათუზოვმა იმისთანა მოთხოვნილებით მიჰმართა თელავის ხაზ გარეთ დარჩენილ მოქალაქეთ?

ამის პასუხად ავი ენანი ამბობენ, რომ ბ-ნ თათუზოვის წინააღმდეგობის მიზეზი ის არის, რომ ხაზ-გარეთ დარჩენილებში ჯერ ერთი ბევრი ურევია სამამასახლისო კაცებიო და მათი შიშით ისე გასდიდებია თვალები, რომ საწყალ მოქალაქეთ ვეღარა ჰხედავსო; მეორე, რომ ხაზ გარეთ დარჩენილი მოქალაქენი თითქმის სრულად ქართველები არიან და მათი შემოერთებით თვით მართველობაც გაქართველდებაო. მე ამისას ვერას ვიტყვი იმის მეტს, რომ მართლა ხაზ გარეთ დარჩენილნი თითქმის სულ ქართველები არიან და ინტელიგენციითაც ეს ნაწილი მდიდარია მთელს სხვა თელავის ნაწილებთან შედარებით, ამასთან ესეც ყველამ იცის, რომ ყოველი კეთილმსახური მწყემსი თვის დაკარგულ, გადასხლეტილ ცხოვართ უნდა მიეშვე-

*) იხ. „ივერია“ № 271.

---

ბის პრეზიდენტისა.

— რას მიბრძანებთო,—მკითხა პრეზიდენტმა.

ვუპასუხე:

— თქვენო პატიოსნებავ! ასე 10 ოქტომბერს 1861 წლისას, აწ განსვენებულმა ჯონ ვილსონ მეკენზიმ, როტერდამის მცხოვრებმა, ეგემუნდის საგრაფოდგან, ნიუჯერსეიში, შეჰკრა პირობა მთავრობასთან და ვალად იდვა მიეტანა პირობითა ამითა გენერალ სერმენისათვის 30 ბოჩკა ხორცი.

— კმარა, მ. ხ. კმარა: მე არავითარი საქმე არა მაქვს მაგ ხორცთან.

მერე თავაზიანად მთხოვეს აქედგან წაბრძანდითო.

მოვიფიქრე საქმე ჩემი და მეორე დღეს დილით მივედი ზღვათა მინისტრთან. მინისტრმა მიბრძანა:

— ჩქარა სთქვით, რა საქმე გაქვთ, თქვენთვის დიდხანს არა მცალიან.

დავიწყე ასე:

— თქვენო პატიოსნებავ! ასე 10 ოქტომბერს 1861 წლისას, აწ განსვენებულმა ჯონ ვილსონ მეკენზიმ როტერდამის მცხოვრებმა, ეგემუნდის საგრაფოში, ნიუჯერსეიში, დაუწერა პირობა მთავრობას და ვალად იდვა მიეტანა გენერალ სერმენისათვის 30 ბოჩკა ხორცი...

აქამდე შემეძლო მეთქვა ჩემის საქმის ვითარება, მერე-კი აღმოჩნდა, რომ ზღვათა მინისტრსაც საქმე არა აქვს გენერალ სერმენთან წაღებულ ხორცთან. ეს რა ახირებული მთავრობაა,—ვიფიქრე. ეს ხომ იმასა ჰგავს, რომ ხორცის ფულის მოცემა არ უნდათ.

მეორე დღეს შინაგან საქმეთა მინისტრთან წავედი.

ასე დავიწყე:

— თქვენო პატიოსნებავ!.. ასე 10 ოქტომბერს...

— კმარა, კმარა, მ. ხ.! ვიცი, ვიცი, რაცა გნებავთ, გთხოვთ მიბძანდეთ აქედგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხორცთან არავითარი საქმე არა აქვს.

წავედი, მაშ რას ვიზამდი. ეხლაკი ძლიერ გავჯავრდი და გადავწყვიტე, თავი მომებეზრებინა ამ ულმერთო მთავრობისათვის, ვიდრე საქმე არ გამოირკვევოდა. ან ჩემს ფულს მივიღებ, ან მოვკვდები, ვითარცა დაიხოცნენ ჩემნი წინაპარნი. გადავეკიდე ფოსტის დირექტორს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს, დეპუტატთა პალატის თავჯდომარეს, მაგრამ ყველგან ასე სთქვეს, ჩვენ ხორცისა არაფერი ვიცითო. მაშინ პატენტების მმართველობის უფროსთან წავედი.

ასე დავიწყე:

— თქვენო პატიოსნებავ! ასე 10 ოქტომბერს, 1861 წელს.

— აი ეშმაკმა კი წაიღოს თქვენი ხორცი და თქვენი პირობა! აქაც მოხვედით? ჩვენ, მ. ხ. არავითარი საქმე არა გვაქვს თქვენ ხორცთან, სრულიად არაფერი...

— კარგი და პატიოსანი—მაგრამ ხორცის ფული ხომ მაინც უნდა მომცეთ!.. უჭველად ეხლავე გამისწორდით, თორემ პატენტების მმართველობას აგიწერთ და რაცა გაქვთ, ყველაფერს გაგიყიდით. ჩემთვის სულ ერთია, თქვენ უნდა გამისწორდეთ, თუ სხვა, ფული ეხლავე უნდა მომცეთ!..

შემდეგ რა მოხდა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს,—მოკლედ რომ მოვსჭრათ, საქმე მუშტის კრივით გათავდა და პატენტების მმართველობამ გაიმარჯვა. მაგრამ აქ შევიტყე, რომ ხაზინა ყოფილა ის ადგილი, რომელსაც უნდა მივმართო.

წავედი. ხაზინის დირექტორმა ორიოდ საათს მალოდინა და მერე მკითხა, რა გნებავთო.

ასე დავიწყე:

— ყოვლად პატიოსანო და პატივცემულო ბატონო ჩემო! ასე 10 ოქტომბერს 1861 წელს აწ განსვენებული ჯონ ვილსონ მეკენზი შეეკრა პირობით მთავრობას...

— კმარა, მ. ხ.! გამიგონია ეგ ამბავი. მიჰმართეთ ხაზინის პირველ საქმის-მწარმოებელს. იმან მეორე საქმის-მწარმოებელთან გამგზავნა. მეორემ მესამესთან, მესამემ „ხორბლისა და ხორცის დეპარტამენტის“ პირველ კონტროლერთან. ეს ცოტა მაინც წაავედა ჩემის საქმის წინ წაწევას. პირველმა კონტროლერმა გასინჯა თვისი დავთრები და ქაღალდები, მაგრამ სერმენის ხორცის საქმის შესახებ არავითარი ცნობა არ აღმოჩნდა და პირველმა კონტროლერმა მეორე კონტროლერთან გამგზავნა. ამანაც გასინჯა დავთრები და ქაღალდები, მაგრამ არც აქ აღმოჩნდა არაფერი ჩემის საქმის შესახებ. მოვიკრიბე მხნეობა და სულ ერთის კვირის განმავლობაში მივახწიე დეპარტამენტის მეექვსე კონტროლერამდე, შემდეგ კვირაში მთელი დეპარტამენტი დავიარე, მესამე კვირას მივახწიე „შეუსრულებელ პირობათა“ დეპარტამენტს და მთელი დეპარტამენტი დავიარე, ბოლოს მივახწიე „წარმოუდგენელ ანგარიშების“ დეპარტამენტს. აქ ჩემი საქმე სამ დღეში გავჩარხე. ეხლა ერთად ერთი დაწესებულება-ღა დამრჩა, მხოლოდ ერთი ინსტანცია. აქ, „გასაუქმებელ საქმეთა“ დეპარტამენტის მმართველს მივმართე, ანუ თუ მართალი გნებავთ, იმის მწერალს, ვინაიდგან თვით მმართველი დეპარტამენტში არა ბრძანდებოდა. ოთახში 16 ახალგაზდა და ლამაზი ქალი იყო, დავთრებში რაღაცასა სწერდნენ და თან ახალგაზდა კაცებს ეარშიყებოდნენ. ყველანი მხიარულად იყვნენ, თითქოს ქორწილიაო. სხვა მწერლები გაზეთებსა კითხულობდნენ. თითოჯერ მრისხანედ შემომხედეს და ისევ განაგრძეს გაზეთების კითხვა. არც ერთს მათგანს კრინტი არ დაუძრავს. მაგრამ იმ დღიდგან დაწყებული, პირველად რომ შევდგი ფეხი „ხორბლისა და ხორცის“ დეპარტამენტში, იმ დღემდე, ოდეს უკანასკნელად გამოველ „წარუდგენელ ანგარიშების“ დეპარტამენტიდგან, უკვე საკმაოდ შევეჩვიე მწერლების ასეთს საქციელს. შევეჩვიე აგრეთვე დიდ ხან დგომას ცალ-ფეხზე, ასე რომ ოთახში შესვლის წამიდგან იმ წამამდე, ვიდრე მწერალი ლაპარაკს დამიწყებდა, შემეძლო მხოლოდ ორჯერ მომეცვალა ფეხი, ან სულ ბევრი სამჯერ. ეხლა-კი ოთხჯერ მოვიცვალე ფეხი. ბოლოს მივმართე ერთს მწერალს, რომელიც გაზეთების კითხვით იყო გართული და ვკითხე:

— უმოწყალო და ულმობელო ხელმწიფევ, ნება მიბოძეთ გკითხოთ, სადა ბძანდება თვით ფაშა?

— მაგით რა გნებავთ სთქვათ! ვისზედ ლაპარაკობთ? თუ დეპარტამენტის მმართველის შესახებ მეკითხებით, უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა აქ არ არის...

— მერე დღეს არ მობძანდება აქ, თავისს ჰარამხანაში?

მწერალმა ჯერ მკაცრად შემომხედა და მერე ისევ გაზეთს მოჰკიდა ხელი. მე უკვე შევეჩვიე ამ ვაჟბატონების ქცევას და ვიცოდი, რომ ვიდრე ნიუ იორკიდგან ახალი გაზეთები არ მოვა, ამ მწერალთან ლაპარაკის იმედი დაკარგულად არ უნდა

ლოს, ეცადოს ფარაში შეურიოს და არა გზა გადუღობოს, კომბალი დაუშინოს.

ბ-ნმა გუბერნატორმა, რასაკვირველია, უწყის დამოკიდებულება ადგილობრივ მკვიდრთა და, იმედია, არ მიიღებს იმ საბუთებს, რომლებითაც დაჩრდილულია ჭეშმარიტი მიზეზი უარის ყოფისა.

იმედია, ბ-ნი გუბერნატორი შევა ამ მამა-პაპით მოქალაქეთა მდგომარეობაში, მიიღებს მხედველობაში, რომ მათ გასოფლელება, სასოფლო მამულებით სარგებლობა არ შეუძლიანთ; რომ ესენი სოფლელებთან თავისს დღეში ვერ მორიგდებიან, როგორც სხვა-და-სხვა გონებით საფეხურზედ მდგომარენი; ყველა ამას მიიღებს მხედველობაში ბ-ნი გუბერნატორი და ისე დასდებს თვისს მსჯავრსა.

ნადიკვრელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „კავკას"-ში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „საქართველოს ძველ ეკკლესიის ნაშთა შესახებ". ავტორი ამბობს, რომ ამ ძველ ნაშთებს ცუდი დრო დაუდგათო: ზოგი მათგანი ქრისტიანობის მტერთაგან განადგურებულ იქმნა, ზოგი დროთა ბრუნვამ დააზიანა, ზოგი კიდევ ქრისტიან მეზობელთაგან შენახულ და მითვისებულ იქმნაო.

„მართალია, ამ ბოლოს დროს, განაგრძობს ავტორი, კომიტეტები შესდგა, რომელთაც აზრად ამ ძველ ეკკლესიების განახლება და აღდგენა აქვთ, მაგრამ მაინც უმრავლესობა უყურადღებოდ და ღვთის ანაბარაა მიტოვებული. საუბედუროდ, ამ უკანასკნელმა გარემოებამ სხვათა გაუმაძღარ მადას ხელი შეუწყო: მათ მიითვისეს ძველი საეკკლესიო შენობანი, საეკკლესიო მიწები, სასაფლაოები და სხვანი. განსაკუთრებით ასეთი შემთხვევები ხშირია იქ, საცა სხვა-და-სხვა ეროვნების ხალხი სცხოვრობს.

არა ერთხელ და ორჯელ აღუძრავთ ლაპარაკი როგორც ადგილობრივ, აგრეთვე სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთებში იმის შესახებ, რომ სომხები ხშირად ითვისებს ქართველთა ძველ საეკკლესიო ნაშთებს. ჯერ ისევ შარშან ადგილობრივი გაზეთები სწერდნენ, რომ სომეხთა სამღვდელოებამ მიითვისა დუშეთის მაზრაში ქართველ მართლ-მადიდებელთა ბოდავის წმ. გიორგის ნიშიო.

ამ ჟამად ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიაქცია ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსმა კირიონმა. რათა შემდეგშიაც სომხებს არ შეეძლოთ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიის საკუთრების მითვისება, ყოვლად სამღვდელო კირიონმა მოხსენება წარუდგინა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოსს, რომელშიაც საჭიროდ სცნობს შემდეგის ზომების მიღებას: 1, შემოერტყას გალავანი, ან არხი შემოევლოს იმ მიწებსა და შენობებს, რომელიც მართლ-მადიდებელთა ეკკლესიებს ეკუთვნის; 2, შეტანილ იქმნას ეს მიწები და შენობანი საეკკლესიო დავთრებში, ამასთან აღნიშნულ უნდა იქმნას მათი რაოდენობა და საზღვრები; 3, დაევალოს მღვდლებს, რომ ყველა მიწერილ ეკკლესიას დაენიშნოს მრევლისაგან სანდო მზრუნველი, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს, რათა ეკკლესია წესიერად იქმნას შენახული; 4, რადგანაც საექსარხოსოში ისეთი მღვდლები არ მოიპოვებიან, რომელთაც იცოდნენ კანონმდებლობა, დაარსებულ იქმნას სინოდის კანტორასთან იურისკონსულტის თანამდებობა. ამ იურისკონსულტმა უნდა აწარმოოს სასამართლოებში ყველა ის საქმე, რომელიც სომეხთა მიერ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიების საკუთრებათა მითვისებას შეეხება.

იმედია, დასძენს ავტორი, ყოვლად სამღვდელო კირიონის ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ბოლო მოეღება სხვათაგან საეკკლესიო ქონების მითვისებას. ამასთან, რაკი იურისკონსულტის თანამდებობა იქმნება დაწესებული, ეჭვი არ არის, იმის შესახებაც აღიძვრება ლაპარაკი, რომ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიებს დაებრუნოს ის, რის მითვისებაც უკვე მოასწრეს სომხებმაო.

## რუსეთი

აზრადა აქვთ მოსკოვის უნივერსიტეტთან გამართონ საზოგადო საცხოვრებელი (პანსიონი). ამ აზრით უკვე შეუდგნენ საჭირო ფულის მოკრებას. დაარსდა განსაკუთრებული კომისიები ფულის მოსაკრებად ქ. რიაზანსა, ვლადიმირსა და ნიჟნი-ნოვგოროდში. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ორი ახალი ასეთი კომისიაც სდგება,—ერთი ტამბოვში გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თავ. ნ. ნ. ჩოლოყაშვილის მეცადინეობით და მეორე ქ. კოზლოვში.

— 13 დეკემბერს, მოსკოვში, კეთილშობილთა საკრებულოს დარბაზში, გამართულ იქმნა ჩვეულებრივი სომხური საღამო. საღამოს აუარებელი ხალხი დასწრებია. დარბაზები სამაგალითოთ ყოფილა მორთული ყვავილებითა და ხვეულებით. განსაკუთრებით კარგად ყოფილა მოწყობილი საკრებულოს პატარა დარბაზი. შესავალში მარცხნივ ფარდული ყოფილა გამართული მესაზანდრეებისათვის. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიუღიათ: ქ-ნ ფოსტრემს და ბ-ნთ ხოხლოვს, საბინოვს ერლიხს და სხვათა. ალტაცებაში მოუყვანია საზოგადოება ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ ხოროს, რომელსაც ბ-ნი ბოგუსლავი ლოტბარობდა თურმე. ლეკური უცეკვნიათ ქ-ნს მზარეულოვისას და ბ-ნთ მურატოვსა და ლისიციანოვს. საზოგადოდ საღამოს მხიარულად ჩაუვლია.

## უცხოეთი

**იტალია.** როგორც გაზეთები მოგვითხრობენ, სამინისტროების ანგარიშით, უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ხალხის კეთილდღეობისა და განათლებისათვის 112 მილიონი დახარჯულა იტალიაში. აფრიკის ექსპედიციაზედ-კი მთავრობას 291 მილიონი დაუხარჯავს, მაშინ როდესაც აფრიკიდგან ჯერ არავითარი სარგებლობა არ უნახავს იტალიას.

—

**ავსტრია.** ბადენის მთავარ-მინისტრობის დროს გარდასწყდა, ბოჰემიაში გერმანულს და ჩეხურს ენებს თანასწორი უფლება ჰქონოდათ. როგორც ვიცით, ავსტრიის გერმანელთა ერთი ნაწილი დიდი წინააღმდეგი იყო ამ გარდაწყვეტილებისა, თუმცა იგი თვით პარლამენტისაგან იყო მოწონებული და დამტკიცებული, და ყოველს ღონისძიებას ჰხმარობდა ეს გარდაწყვეტილება გაუქმებულიყო. გერმანელთა ოპოზიცია გრაფ ბადენის სამართალში მიცემასაც-კი თხოულობდა ხსენებულ საქმის გამო. ბადენის სამინისტრო დაეცა და მისი ადგილი გრაფმა ტუნმა დაიკავა, მაგრამ ოპოზიცია მაინც ვერას გახდა. როგორც გაზეთებიდგან ვტყობილობთ, ენების თანასწორობა არა მარტო ბოჰემიაში განხორციელებულა, არამედ სილეზიაშიაც ჩქარა განხორციელდება. იუსტიციის მინისტრს მიუწერია რომპაუს საეროვნო სასამართლოს თავმჯდომარისათვის, სილეზიაში ყველგან ორთავე ენაზედ უნდა სწარმოებდეს მართლმსაჯულებაო.

—

**საფრანგეთი.** გაზ. „Aurore"-ს სიტყვით, მინისტრ პრეზიდენტს დიუპუის და სამხედრო მინისტრს ფრეისინეს კინაღამ უსიამოვნება მოსვლიათ ერთმანეთ შორის საიდუმლო დოსიეს გამო. ფრეისინეს უთქვამს სენატორ სიგაფოროდისთვის, რომ ჩემდა თავად მე დიდი ხანია მზად ვიყავი, საიდუმლო საბუთის ქაღალდები საკასაციო სასამართლოსთვის გადამეცა და კიდევაც მსურდა, დეპუტატთა პალატაში წამეკითხა ჩემი წერილი, საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარის ლევისადმი გაგზავნილი, რომელშიაც მას ვსთხოვდი, ამ ქაღალდების საიდუმლოება, რამდენადაც იგი შეეხებოდა საფრანგეთის უზრუნველყოფას, არ გამოქვეყნებულიყო. მაგრამ დიუპუიმ წერილის წაკითხვის ნება არ დამრთო, და მე იძულებული გავხდი, პალატისთვის ის განმარტება მიმეცა, რომელიც უკვე ცნობილიაო.

—

**ამერიკა.** შეერთებულ შტატების მთავრობა დიდის გულმოდგინებით ჰკიდებს ხელს ფილიპინებში მშვიდობიანობის დამყარებას. ამერიკის ჯარის მთავარ სარდლის ოტისისათვის ბრძანება გაუგზავნია მანილაში, რომლის შინაარსი გამოქვეყნებულ იქმნება მოკლეს დროში. როგორც ამბობენ, გენერალმა ოტისმა უნდა დაარწმუნოს ფილიპინელები, რომ ამერიკას მათთან მშვიდობიანობა და მეგობრობა სურს და ამიტომ მხოლოდ სამხედრო კონტროლობას გაუწევს მათ ქვეყანას. სამოქალაქო უფლება და უპირატესობა მათი ხელუხლებელი დარჩება, უფრო კიდევ უსამართლობა, რომელიც-კი აქამდე სუფევდა იქ, მოისპობა და ყველა ცოტად თუ ბევრად ნიჭიერი მოხელე თავისს ადგილასვე დარჩება მოხელედ.

## თეატრის მატიანე

ვ. ა. აბაშიძის ბენეფისი.

ჩვენის სცენის ნიჭიერის არტისტის ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ ქართულმა დრამატიულმა დასმა 17 დეკემბერს წარმოადგინა: დ. ერისთავის მიერ გადმოქართულებული პიესა „ორღანო და ლეკვი" („აირია მონასტერი"-ს სახელით), სამ-მოქმედებიანი კომედია; ერთი მოქმედება შილერის „ყაჩაღები"-სა და მესამე მოქმედება „ხანუმა"-სი. პირველი პიესა—„ორღანო და ლეკვი" შეკ-

---

ჩაითვალოს. მხოლოდ ორი გაზეთი დარჩა ეხლა წასაკითხი. წაიკითხა, პატარა ხანს მოისვენა, მერე დაამთქნარა და მკითხა: რა გნებავთო?

— დიდად პატივცემულო და ყოვლად მოწყალეო ბატონო ჩემო! ასე 10 ოქტომბერს, 1861 წელს...

— ოო, თქვენა ბრძანდებით ის კაცი, ხორცის ფულს რომ თხოულობს? აბა მიბოძეთ თქვენი ქაღალდები.

გამომართვა და დიდხანს სინჯავდა დავთრებს. ბოლოს იპოვნა ის, რის პოვნაც მე ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნდა. ამ მოულოდნელმა ამბავმა დიდად ამაღელვა და გამახარა, რადგანაც ვგრძნობდი, რომ გულის წადილს თითქმის მივაღწიე და მაინც ცოცხალი დავრჩი. აღელვებისა და მადლობის გრძნობით განმსჭვალულის ხმით მოვახსენე:

— მიბოძეთ მე ეგ ქაღალდი. ეხლა მთავრობა შეიწყნარებს ჩემს თხოვნას.

ხოლო მწერალმა მან თხოვნა ჩემი არ შეიწყნარა და მითხრა, ჯერ ზოგიერთი ცნობებია საჭიროო.

— სად არის ეხლა ის ჯონ ვილსონ მეკენზი?—მკითხა მწერალმა.

— საიქიოს.

— როდის გარდაიცვალა?

— თითონ არ გარდაცვლილა, მოჰკლეს.

— როგორ?

— საქანდაქარეთი.

— ვინ მოჰკლა?

— რაღა თქმა უნდა, ინდიელმა. ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ ასეთის საქმის ჩადენა შეუძლიან საკვირაო სკოლის უფროსს ინსპექტორს?

— არა, არა მგონია. მაშ ინდიელმა მოჰკლა?

— დიაღ.

— სახელი იმ ინდიელისა?

— სახელი? რა მოგახსენოთ. სახელი არ ვიცი.

— საქმისათვის საჭიროა იმ ინდიელის სახელი ვიცოდეთ. მერე ვინ იყო მოწმედ, როცა ვილსონი საქანდაქარეთი მოჰკლეს?

— რა მოგახსენოთ.

— თქვენ იქ არა ბრძანდებოდით იმ დროს?

— არა. განა თმეზე არ მატყობთ? ხომ ხედავთ, ჯერ ჭაღარა არ მირევია.

— მაშ საიდგან იცით, რომ მეკენზი ამ ჟამად მკვდარია?

— იქიდგან, რომ მეკენზი ნამდვილად მოჰკლეს და სრული საბუთი მაქვს იმისი, რომ ჯერ აქამდე მკვდრეთით არ აღსდგა. დარწმუნებულიც გახლავართ, რომ ჯერ არ გაცოცხლებულა.

— ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა თქვენის სიტყვების დამამტკიცებელი საბუთი. ის ინდიელი თან მოიყვანეთ აქა?

— არა.

— უნდა მოიყვანოთ. უეჭველად უნდა მოიყვანოთ. არც ის საქანდაქარე მოგიტანიათ?

— ფიქრადაც არ მომსვლია.

— საქანდაქარეც უნდა მოიტანოთ. უსათუოდ საჭიროა ინდიელის მოყვანა და საქანდაქარეს მოტანა. თუ ვინიცობაა დამტკიცდა, რომ მეკენზი მოკლული ყოფილა, მაშინ „ახირებულ თხოვნების მიმღებ" კომისიას უნდა მიჰმართოთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ როდესაც ყველა დეპარტამენტები განიხილავენ თქვენს თხოვნას, მაშინ, იქმნება, თქვენმა შვილებმა მიაღწიონ მაგ საქმის გათავებას და იქეიფონ კიდეც მაგ ფულით. მაგრამ ჯერ მეკენზის სიკვდილი უნდა დამტკიცდეს. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრობა არ დაგიბრუნებთ იმ ფულს, რომელიც განსვენებულმა მეკენზიმ დაჰხარჯა ხორცის ერთის ადგილიდგან მეორე ადგილას გადატანაზე. ის-კი შესაძლებელია, რომ ერთის ბოჩკის ფული მიიღოთ, იმ ბოჩკისა, რომელიც სერმენის ჯარმა წაართვა ინდიელებს. ისიც მხოლოდ მაშინ მოიგებთ თქვენს საქმეს, თუ ვინიცობაა კონგრესმა ახალი კანონი დააწესა თქვენის საქმის სასარგებლოდ. ხოლო იმ 29 ბოჩკა ხორცისას, რომელიც ინდიელმა ჩახეთქეს, მთავრობა არაფერს მოგცემთ.

— მაშ მე შემიძლიან მხოლოდ 100 დოლლარი მივიღო და ისიც საეჭვოა განა! 100 დოლლარი იმისათვის, რომ მეკენზიმ შემოიარა ევროპა, აზია და ამერიკა, ფული დაჰხარჯა, სიცოცხლე შესწირა მთავრობას! 100 დოლლარი იმისთვის, რომ იმდენი უდანაშაულო კაცი მოკვდა მეკენზის ფულის მიღების ცდაში! მოწყალეო ხელმწიფევ! მერე რატომ არ მითხრა ეგ იმ თავითვე „ხორბლისა და ხორცის" დეპარტამენტის პირველმა კონტროლერმა?

— იმიტომ, რომ არ იცოდა, თქვენს თხოვნას შესაწყნარებელი რამ საბუთი აქვს, თუ არა?

— რატო არ მითხრა ეგ მეორე კონტროლერმა? ან მესამემ? რატომ არ მითხრა ეგ არც ერთის დეპარტამენტის არც ერთმა მოხელემ?

— არავინ არაფერი იცოდა თქვენის საქმისა. ჩვენს კანცელარიაში ყველაფერი თავისს წესითა და რიგით სწარმოებს. ეს წესი და რიგი თქვენ ეხლა კარგად გაიგეთ. ეგ წესი საუკეთესო გზაა. საუკეთესო-კი არა, ერთად-ერთიც არის. მართალია, საქმე ცოტა მძიმედ სწარმოებს კანცელარიებში, მაგრამ დღეს თუ ხვალ კაცი უეჭველად ეღირსება...

— სიკვდილს, განა! დიაღ, ჩვენის ოჯახის მრავალმა წევრმა მიაღწია სიკვდილს მაგ საქმის გამორკვევით. ეხლა მეცა ვგრძნობ, რომ იგივე ხვედრი მომელის... ჩემო კარგო, ნუ დამიმალავთ ნურაფერს. თქვენ გიყვართ აი ის მხიარული ქალი, კალამი რომ გაუყრია ყურში. ნუ ჰმალავთ, ნუ გრცხვენიანთ. ვატყობ, რომ იმასაც უყვარხართ! ისე ალერსიანად გიყურებდათ წელან! თქვენ გსურთ შეუღლება, მაგრამ ორთავენი ღარიბნი ხართ. აი ეს შესანიშნავი პირობა მეკენზისა და ჩვენის მთავრობისა. ინებეთ, გამოიტანეთ ფული და იყავნით ბედნიერნი. ღმერთმა გაკურთხოთ, შვილებო, ღმერთმა გაგაბედნიეროთ!

ამით დასრულდა მეკენზის ხორცის გამო ჩემი ხეტიალი კანცელარიებში. საბრალო მწერალი, რომელსაც მეკენზის პირობა ვუფეშქაშე, ისე გარდაიცვალა, რომ ფული ვერ მიიღო. სამწუხაროდ, აღარ ვიცი, ეხლა ვისა აქვს ის პირობა. გარნა ის კი კარგად ვიცი, რომ თუ ვინმემ ვაშინგტონში მთავრობის ყველა დეპარტამენტები და კანცელარიები დაიარა, ბოლოს სწორედ იმას შეიტყობს, რის შეტყობაც ძლიერ ადვილად შეეძლებოდა, მთავრობის კანცელარიებში რომ ისეთი წეს-რიგი სუფევდეს, როგორიც სუფევს სავაჭრო კანტორებში.

ა. ნიკიტინ

ეს მოთხრობა მარკ ტვენისა მხოლოდ იმიტომ ვთარგმნეთ, რომ, ჩვენის აზრით, აქ დახატულია სულ ახალი და ჩვენის მკითხველებისათვის სრულიად უცნობი წესწყობილება ამერიკის კანცელარიებისა.

მთარგმნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჭილი წარმოადგინეს, მეოთხე მოქმედება სრულიად გამოაკლეს და სცენა ცოლ-ქმართა შერიგებისა მესამე მოქმედებას მიატმასნეს. ამ წარმოდგენილ პიესებს ჩვენი თეატრში მოსიარულე საზოგადოება კარგად იცნობს, იგი ყველასათვის „არ ახალია—ძველია“, თუმცა კი სასურველი იყო, რომ ბ-ნს ვ. აბაშიძეს ამ მოჭირნახულე მსახიობს ჩვენის სცენისას, ეზრუნა და თავისს საბენეფისოდ ახალი რამ პიესა დაედგა.

რაც შეეხება წარმოდგენას, როგორც მოსალოდნელიც იყო, სამივე პიესამ საუცხოოდ ჩაიარა. წარმოდგენის ასე კარგად ჩავლას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ საღამოს პირველად მონაწილეობას იღებდნენ, მობენეფისეს გარდა, ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა და ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი. საუცხოოდ წარმოგვიდგინა ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა ფრანც მოორის როლი. „ხანუმა“ს მეორე მოქმედება უნაკლულოდ იყო ნათამაშევი. ასევე კარგად ჩაივლიდა „ორღანო და ლეკვი“-ც, მესამე მოქმედება, რომელიც სასამართლოში სწარმოებს, რომ არ დაემახინჯებინათ მეტად, ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისას არ დაემღაშებინა იმ სცენის დროს, როდესაც ანჩხლაძეს (აბაშიძეს) წაავლო ხელი და არჩობდა, და გოგია ჩონქაძის როლის აღმასრულებელი რომ რიგიანი ყოფილიყო. ბ-ნი ადამიძე სრულიად ვერა თამაშობს იმერლის როლს და ამას ისიც დაერთო, რომ სასამართლოში ამ მსახიობს წრეს გადასულად ეჭირა თავი და ამახინჯებდა სცენას თავისის უადგილო ხითხითით. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პიესაში ძალიან მოხდენილი იყო და დიდად ზომიერად ეჭირა თავი ქ-ნ სირენელს, ანჩხლაძის ცოლის როლის აღმასრულებელს, რომელიც ჩვენ ამ საღამოს პირველად ვნახეთ სცენაზედ.

მობენეფისეს საზოგადოება დიდის ალტაცებით მიეგება და რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვა. ასევე ხანგრძლივის ტაშის ცემით და სიხარულით მიეგებნენ დიდის ხნის ტფილისის სცენაზედ უნახავთ ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისასა და ბ-ნს ალექსი-მესხიშვილს. თეატრში იმდენი საზოგადოება დაესწრო, რომ გასავალ-გამოსავალი გზაც-კი აღარსად იყო. ბევრნი, წარმოდგენაზედ დასწრების მსურველნი, უკანვე დაბრუნდნენ უადგილობისა გამო—.

მანველიძე

## დამაკვირდი

გული ისე უცნაურად არის შექმნილი, რომ, ვითარცა მზე, თავისის სხივებით ბევრს ათბობს და მაინც სინათლე და სითბო არ აკლდება.

ებერსი

* * *

ჩვენ არ გვიყვარს სიმართლე: ყოველთვის ლაპარაკში და ყოფა-ქცევაში მრუდე გზას ვირჩევთ.

ეპისკოპოსი გაბრიელ

* * *

ფრთოვან რაშ იქმნე ფრთეთაგან სიტყვისათა, ნუ ოდეს ჰფრონავ ფრთეთა დატევებითა.

ნიკოლოზ ტფილელი

## სასამართლოს მატიანე

### ქალის გაწბილების საქმე.

18 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილებაში დანიშნული იყო განსახილველად ოთხი საქმე.

პირველი—გაზ. „კავკას“-ის დროებითი რედაქტორის უსპენსკისა და იმავე გაზეთის თანამშრომლის გატცუკისა, რომელთაც ინჟინერი კრასპეტოვი ბრალად სდებდა, დასტამბულის სიტყვით ცილი დამწამესო. ეს საქმე სასამართლომ გადასდო, რადგანაც ბ. გატცუკი არ გამოცხადდა და გამოგზავნა ექიმის მოწმობა თავისის ავადმყოფობისა.

მეორე—ქოდალოს სამოსამართლო ბოქაულს მირიმანოვს ბრალად ედებოდა ორის თუმნის მითვისება და საჯარო ვაჭრობას ფურცელში ყალბის ცნობის ჩაწერა. ბრალდებულმა მირიმანოვმა სასამართლოს მოახსენა: მართალია მე სიღნაღელ ექიმის ქოჩორიანცის აღმასრულებელ ფურცლის ძალით გავყიდე ისაკოვის ნავი ორ თუმნად, მაგრამ იმ ორის თუმნიდგან—ერთი თუმანი ქოჩორიანცის ვექილს ტერ-მათეუზოვს გადავეცი, 6 მან. და 40 კ. მე დავიტოვე გზის ფულად და დანარჩენის 3 მ. 60 კ. მიღება რამდენჯერმე ვთხოვე ბ. ქოჩორიანცსაო. რადგანაც წელიწადი თავდებოდა და „აღმასრულებელი წარმოება“ იმ საქმისა უნდა წარმედგინა სასამართლოში, ამიტომ საჯარო ვაჭრობის ფურცელში ჩავუმატე „ორი თუმანი მიეცა ტერ-მათეუზოვსა“, და რწმუნებულმა, რომ ეს ცნობა სრულის სავსებით ეთანხმება სიმართლესაო.

სასამართლოს გამოძიებამ ეს ჩვენება თითქმის რომ შეამოწმა, გარდა ტერ-მათეუზოვისა, რომელმაც სთქვა, მე მირიმანოვისაგან ფული არ მიმიღიაო.

სასამართლომ ბრალდებული გაამართლა.

მესამე—გიორგიწმინდელ გლეხებს ბეჟიაშვილსა და ალექსა ნაცვლიშვილს ჩხუბი მოსვლოდათ წყლის თაობაზედ და ამ ჩხუბში ბეჟიაშვილს რკინის ნიჩაბი დაეკრა ნაცვლიშვილისათვის, რის გამოც იგი გარდაცვლილიყო. ბრალდებულმა თავისი დანაშაული აღიარა სასამართლოს წინაშე, რომელმაც რვა თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

მეოთხე—დავით ოთიას ძე კირვალიძისათვის ბაზრის ზედამხედველს ოქმი შეედგინა,—მრუდე სასწორსა ჰხმარობსო. საქმის გამორკვევამ დაამტკიცა, რომ დავით კირვალიძე სხვის მოჯამაგირე ყოფილა და იმ ყალბ სასწორით მას ბური არც გაუყიდია, რის გამოც სასამართლომ იგი გაამართლა.

—

16 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა საქმე ალექსანდრე ნიკოლოზის ძის ბარხუდაროვისა (იგივე ქარუმიძე), რომელსაც ბრალად ედებოდა სოფიო სხირტლაძის ასულის ნატალიის მოტყუება,—რომ ჯვარს დავიწერო, და მისი გაწბილება. საქმე ხალხის დაუსწრებლად იქმნა განხილული. სასამართლოში თავმჯდომარედ იყო: ბ-ნი ბოგაევსკი, წევრებად: პადალკო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე კეიდენზამი. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ქალანთაროვი. ბრალდებულმა თავი დამნაშავეთ არ იცნო და განაცხადა, რომ არც საქმრო ვყოფილვარ მაგ ქალისა და არც რაიმე კავშირი მქონია მაგასთანაო; ვიცნობდი როგორათაც მრავალს სხვასაო. მხოლოდ მოწმების ჩვენებამ აღმოაჩინა, რომ ბრალდებული თითქმის საქმროდ ითვლებოდა სხირტლაძის ქალისა და არა ერთისა და ორისათვის უთქვამს, რომ „მე ჩემი ვქვენ და ნუ თუ დედა ჩემი ახლაც დამიშლის იმის შერთვასაო“. თურმე დედა-მისი ყოფილა წინააღმდეგი იმათ ქორწინებისა.

სასამართლომ დამნაშავედ სცნო ბრალდებული ბარხუდაროვი, (18 წლის ახალგაზდა კაცი) და რვა თვით სატუსაღოში დაპატიმრება მიუსაჯა.

### ი. ჯაიანის საქმე.

11 დეკემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ, ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე ნაფიც ვექილის ივ. ჯაიანისა (ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის დირექტორისა), რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ დაჰპირდა აზნაურის ქალს მ. ჩ.—ს ცოლად შეგირთავო და პირობა-კი არ შეასრულაო. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექილი კ. ჩიკვაიძე, ხოლო მ. ჩ.—ს მხრივ ზარალს იძიებდა ნაფ. ვექილის თანაშემწე ბ-ნი ტერ-მარტიროსოვი. სასამართლომ ამ უკანასკნელს ნება არ მისცა მომჩივანის საქმის წარმოებისა, რადგანაც მას ქუთაისის ოლქის სასამართლოში საქმეების წარმოების ნებართვის მოწმობა არა ჰქონდა. სასამართლომ ივ. ჯაიანი გაამართლა.

—

ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გარდაეცა საქმე, საბრალმდებლო ოქმით, ტფილისის მოქალაქის ოსეფ მესხიევისა (21 წლისაა), რომელსაც ის ბრალი ედება, რომ 1898 წელს 12 ივლისს ტფილისში დასჭრა დანით: ივანე გიორგობიანი—გვერდში, ოჰანეზ ჰუმანელტოვი—მუცელში, აბეტ ფეტალოვი—ბარძაყში და ვლად. ბარბაქაძე—მუცელში. მესხიევი ამ ჟამად მეტეხის საპყრობილეშია დაპატიმრებული.

## დეპეშა

18 დეკემბერი.

**კიევი.** უნივერსიტეტის საბჭომ აირჩია კომისია პუშკინის სახელის პატივცემისათვის დღესასწაულის გასამართავად.

**ოდესა.** აქაურ უნივერსიტეტის საბჭომ შეადგინა ვრცელი პროგრამას პუშკინის დაბადების დღიდგან ასის წლის შესრულებისა გამო დღესასწაულის გამართვისა. დღესასწაული ორ დღეს გასტანს—26 და 27 მაისს.

**ბუქარესტი.** გუშინ სასახლეში ყაიმართა სადილი პატივსაცემლად ვოლოკოლსკის რაზმისა, რომლის მეფად ითვლება რუმინიის მეფე. გუშინ და დღეს დეპუტაცია იყო სხვა და სხვა სამხედრო დაწესებულებაში. შუადღისას დეპუტაციის პატივსაცემლად ბუქარესტის სამხედრო კლუბმა საუზმე გამართა. ბონკეტს დაესწრნენ რუმინიის მემკვიდრე პრინცი და 70 გენერალი და შტაბ ოფიცერი.

**პარიჟი.** საკასაციო პალატის პრეზიდენტი შეუდგა ბარდი-პიკარის საქმის გამოკვლევას. საქმე ის არის, რომ ხმა გაავრცელდეს სხვა-და სხვა გაზეთებმა, რომ პრეზიდენტმა კენედე ბორეპერმა მიასწრო თავისს კაბინეტში ბარდის, რომელიც მეგობრულად ესაუბრებოდა ჩვენების ჩამოსართმევად დაბარებულს პიკარსო. ზოგიერთს დეპუტატს აზრად აქვს ამ საგნის შესახებ მთავრობას შეეკითხოს სესიის განახლებისთანავე.


# განცხადებანი

СЪ 1 ЯНВАРЯ 1899 ГОДА БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ВЪ СВѢТЪ

ЕЖЕДНЕВНО,

не исключая дней и послѣпраздничныхъ,

НОВАЯ ГАЗЕТА

„АСХАБАДЪ“

программа:

1) Телеграммы политическія и торговыя.
2) Мѣстная и областная хроника.
3) Торговыя свѣдѣнія.
4) Объявленія казенныя и частныя.

Принимается подписка

на 1899 годъ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

| | Безъ доставки | Съ дост. и перес. |
|---|---|---|
| На 12 мѣсяцевъ | 3 р. 50 к. | 4 р. 50 к. |
| — 6 — | 2 „ — „ | 2 „ 50 „ |
| — 3 мѣсяца | 1 „ 25 „ | 1 „ 50 „ |
| — 1 мѣсяцъ | — „ 50 „ | — „ 75 „ |
| За границу | 7 руб. | |

подписка и Объявленія

принимаются въ Асхабадѣ, въ конторѣ редакціи.

(3—1) *Редакторъ-издатель* З. Д. ДЖАВРОВЪ.

გამოვიდა მეორე წიგნი

რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონისა

ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

ფასი მთელის გამოცემისა (15 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდის, წვრილის ასოებით აღბეჭდილი)—მარტო 12 მანეთი, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნება ორივე წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზედ ასეთი ლექსიკონები ღირს ხუთი და ათი თუმნები და ვერც ჩვენს მკითხველს დააკმაყოფილებენ სავსებით, რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ,—ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწვდენი. მესამე წიგნი ასო ვინზე გამოვა მარტის გასულს.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან და წერა კითხვის გამ. საზოგადოების და ბ ნ ხიდდეკელის წიგნის მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (5—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ

НА ГАЗЕТУ

„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

(двадцат третій годъ изданія.)

**Въ программу газеты входятъ кромѣ обычныхъ газетныхъ отдѣловъ:** *I. Статьи по внутреннимъ вопросамъ. II. Обозрѣніе иностранной политической жизни. III. Общая хроника внутренней и иностранной жизни.*

Ставя главной своей задачей служеніе интересамъ Кавказа и желая одновременно знакомить своихъ читателей съ событіями русской и иностранной жизни, редакція сознаетъ, что малый размѣръ газеты лишалъ ея возможности удѣлять достаточное мѣсто вообще литературному отдѣлу и въ частности матеріалу по исторіи Кавказа въ связи съ постепеннымъ развитіемъ въ краѣ гражданскихъ учрежденій. Для удовлетворенія этой насущной потребности съ наступающаго года редакція будетъ выпускать при газетѣ дополнительные листы, посвященные кавказовѣденію, біографіямъ бывшихъ и современныхъ общественныхъ дѣятелей Кавказа, Россіи и Европы, далѣе въ газетѣ найдутъ мѣсто эпизоды изъ жизни кавказскихъ народовъ, повѣсти, разсказы, преданія, анекдоты и проч.

Текстъ отдѣловъ будетъ иллюстрированъ.

*ПОДПИСНАЯ ЦѢНА ОСТАЕТСЯ БЕЗЪ ИЗМѢНЕНІЯ:*

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Въ Тифлисѣ. | | Иногородная. | |
|---|---|---|---|
| На годъ | 5 р. | На годъ | 7 р. |
| „ 6 мѣсяц. | 3 „ | „ 6 мѣсяц. | 3 р. 50 к. |
| „ 3 „ | 1 р. 75 к. | „ 3 „ | 2 „ — „ |
| „ 1 „ | — 75 „ | „ 1 „ | 1 „ — „ |

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ ИСКЛЮЧИТЕЛЬНО въ конторѣ изданія: Тифлисъ, Головинскій, № 3. (3—1).


Дозволено цензурою, Тифлисъ 18 -го Декабря 1898 г

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე